საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეგი

ბეგი, ბეი (თურქ. bey – მბრძანებელი, მთავარი, ბატონი), გვაროვნული და ფეოდალური დიდკაცობის ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ეწოდებოდა თურქი ტომების ზედაფენის წარმომადგენლებს. ოსმალეთში ბ-ს უწოდებდნენ ადმ. ერთეულების – სანჯაყების მმართველებს (მაგ., სანჯაყ-ბეგი), XVI ს. ბოლო მეოთხედიდან – გამაჰმადიანებულ მესხ ფეოდალებს (მაგ., ბასიანის ბ.). კავკ. თურქულენოვან ხალხებში ბ-ებად იწოდებოდნენ თავად-აზნაურები.